

ფოტოკონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება



მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული ფოტოკონკურსი - „ჩემი თვალით დანახული მარტვილი“ დასრულდა.

კონკურსში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს. მონაწილეების მიერ გადაღებული ფოტოები შესაბამისმა ჟიურიმ გადაარჩინა და გამარჯვებულები ხმათა უმრავლესობით გამოავლინა.

ფოტოკონკურსის პირობების შესაბამისად გამოვლინდა გამარჯვებულები ოთხ ნომინაციაში:

- ✓ „ჩემი კუთხე“ - მარიამ შავდია, ბაღდის საჯარო სკოლა.
- ✓ „თავისუფალი თემა“ - თეონა კალანდია, სალხინოს საჯარო სკოლა.
- ✓ „საუკეთესო პორტრეტი“ - გიორგი ინჯგია, თამაკონი საჯარო სკოლა.
- ✓ „გაცოცხლებული ისტორია“- მა-

გული ჯგელია, ბანძის საჯარო სკოლა. გამარჯვებულები დიპლომებით და 200 ლარიანი „ბიბლუსის“ ვაუჩერით, ხოლო მონაწილეები სიგელებით და 50 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერები, ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლში, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა თორნიკე ჯანაშიამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ კობა დარჯანიამ და საგანამანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა პაპა გულორდავამ დააჯილდოვა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს გამარჯვებულებს და წარმატებებს უსურვებს!!!

ფოტოკონკურსი „ჩემი თვალით დანახული მარტვილი“ 2022 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის



მხარდაჭერით კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა.

ფოტოკონკურსის პროექტის ავტორები და ორგანიზატორები არიან: გიორგი წიფინიაძე- კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერი; გოჩა სხულუხია - კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის და თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი; ზურაბ ჯამბურია - კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული თოჯინების თეატრის მმართველი.



ეკა მირცხულავა ლედეგებს საჯარო სკოლის მასწავლებელია. პროფესიით ისტორიკოსია, მაგრამ უყვარს პოეზია. წერს გულწრფელ პატრიოტულ ლექსებს, რომელთაგან რამდენიმე სასიმღეროდაც იქცა. ჩვენს გაზეთში იბეჭდება პირველად.



ჩემო სამშობლო

ვერ მოიშორე გულზე იარა, ვერ მოიშორე წარსულთ ლანდები, რამდენმა წყალმა გადაიარა...
 ეკალ-ბარდებში კვლავ იბლანდები. ტკივილისაგან ჩამოგეფერვლა ეგ ხანდაზმული, მღვრიე თვალები, დროთა მიჯნაზე გამოქანცული, ჟამთაგანისაგან განანამები. დღეს უფრო მეტად რად მეჩვენები გადაღლილი და გადაქანცული, იქნება შევძლო შემოგეშველო, გადამიშალო იქნება გული.
 კვლავ ჩუმად ხარ და ისევე დუმხარ, როგორც ოდითგან არს აქამომდე! მაგრამ მე ვხედავ, რომ ძალზე სწუხარ ამა სოფლისა სააქაოზე.
 უფალო ჩემო, შეგთხოვ მუდარით, ჩემი სამშობლო გადამირჩინო! ჩამოაცილე თვალზე სუდარი, შეგთხოვ, უფალო, ჩემი ისმინო.

ლედეგებს ახლად აღმართი წმინდა გიორგის ტაძართან

აი, დაგვირგვინდა ტაძრად! ძალა ერთობისა მეფობს! წმინდა გიორგის ძალით მაღლი მოგვივლინე, ღმერთო. დიახ, დაგვირგვინდა ტაძრად, მაღლით გადმოჰყურებს ფერდობს, დიდი შრომითა და გარჯით, შენი მეოხებით, ღმერთო. ოცნების ახდენაა დიდი...
 ნატვრის დასასრული მოდის, ზარები რეკავენ ცამდე ისე, როგორც რეკდნენ ოდის. აი, დაგვირგვინდა ტაძრად, ფრთები აესხმება ნატვრას, მარჯვენა დაელოცოს ოსტატს, მშრომელ და გამარჯე ხალხსაც. ძალა ერთობისა მეფობს, სულში ჩამწვდომია ერთობ, წყალობა მოგვივლინე შენი, წინ გზა დაგვილოცე, ღმერთო.

მემოზრები ქრომოსომებს არ ითვლიან



21 მარტის, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნას, მარტვილის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა.

ამ დღესთან დაკავშირებით მარ-

ტვილის მუნიციპალიტეტის მერი თორნიკე ჯანაშია, მერის მოადგილესთან გივი ელიავასთან, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან კობა დარჯანიასთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, დაუნის სინდრომის მქონე მოქალაქეებს სახლში ესტუმრა და საჩუქრები გადასცა.

21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღედ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგვიპტის 2011 წლის 10 ნოემბერს დაწესდა. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ცნობი-



ერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები იმართება.

ბენდი „მარტვილის“ კონცერტი

მარტვილის მუნიციპალიტეტის ტრიფონ ხუხუას კულტურის სახლში ბენდმა „აკორდ“-მა გაზაფხულის დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ქალბატონებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი თორნიკე ჯანაშია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან კობა დარჯანიასთან და ადგილობრივ მსმენელთან ერთად ესწრებოდა.

მუნიციპალიტეტის მერმა თორნიკე ჯანაშიამ ქალბატონებს დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა.

ბენდი „აკორდი“სიმღერისა და ცეკვის მუნიციპალური ანსამბლი „მარტვილი“-ს ბაზაზე შეიქმნა. სიმღერისა და



ცეკვის მუნიციპალური ანსამბლი „მარტვილი“-ს სამხატვრო ხელმძღვანელია პაატა ბართია, ბენდის ხელმძღვანელი ალექო შენგელია.

მოუწვეთ თუ არა საქართველოს მოქალაქეებს 2025 წლის 4 ივნისიდან ახალი პირადობის მოწოდების აღება - დეტალური ცვლილების შესახებ

2025 წლის 4 ივნისიდან გაცემულ პირადობის მოწოდებას ახალი დიზაინი ექნება. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში ვკითხულობთ, რომელიც საკანონმდებლო მაცნეს გვერდზეა გამოქვეყნებული. არსებული ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწოდების, დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწოდების, მუდმივი ბინადრობის ელექტრონული მოწოდებისა და დროებითი საიდენტიფიკაციო ელექტრონული მოწოდების ტექნიკური მახასიათებლები იცვლება.



გამოცვლა სავალდებულო არ არის. მოქალაქეებს შეუძლიათ, არსებული პირადობის მოწოდებით ისარგებლონ იქამდე, ვიდრე მას ვადა არ გაუვა - აცხადებენ იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე.

ახალი პირადობის მოწოდების აღების სტანდარტული ფასი 65 ლარია და 10 სამუშაო დღეში მზადდება.

პირადობის მოწოდების საფასურის გადახდისაგან თავისუფლებიან:

სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრები სრულად, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 001-ს; მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები სრულად;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები სრულად;

პირები, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭათ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით სრულად;

სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომელთა სტატუსის გადამოწმება შესაძლებელია სააგენტოს მონაცემთა ბაზის მეშვეობით, პირადობის ელექტრონული მოწოდების აღნიშნული სტატუსით პირველად აღების შემთხვევაში თავისუფლდებიან განსაზღვრული მომსახურების საფასურის გადახდისაგან - 10 ლარით, ხელმეორედ 6 ლარით, ხოლო ფოტოსურათის საფასურის გადახდისაგან სრულად;

სტუდენტები, სტუდენტური მონაცემით პირადობის ელექტრონული მოწოდების განმეორებით მიღების დროს 10%-ით.

პირები, რომლებზეც შესაძლებელია გაიცეს პირადობის მოწოდება მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსით დაწესებული მომსახურების საფასურისგან გათავისუფლდებიან 50%-ით.

ილია ახალაშვილი

...შევრჩი მოგონებებს მარტო, მარტო უშენობას შევრჩი, წაღი, დღეკვიმატო მარტო, სანამ ამ წვიმებით შემშლი. იქნებ გააპრილდეს, იქნებ, იქნებ მზე გამოჩნდეს ცეტი, მინდა თქვენ ოთხობობდეთ ფიქრებს, მეტი არაფერი მეტი...



არაფერი არ იქნება ხვალე, არც ლოდინი, იმედი და ფიქრი, ჩამავალ მზეს შეაცივებ თვალებს და სახეზეც შეგემცვრევა ფიქრი. შენს სიყვარულს ამხად იტყვის ვინმე, შენს სიმღერას სხვა იმღერებს სევდით, მოვა წვიმა, შუბლს მიუშვერ წვიმებს კმაყოფილი ამნაირი ხვედრის. არაფერი, ცრემლთა ციმციმს მალე ციალს ნაჰგვრის მოცახცახე ქარი. არაფერი არ იქნება ხვალე, თუმცა ახლაც არაფერი არი.

31 მაგისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, ჩუპაჩენდუისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე



ზუსტად 34 წლის წინ, 31 მარტს ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა რეფერენდუმი, კითხვით - „თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ 98%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. დღეს ამ რეფერენდუმის სულისჩამდგმელს, შესანიშნავ ქართველ მეცნიერს, მწერალს, მთარგმნელს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს - ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ს 86 წელი შეუსრულდება.

ყველა ქართველს ყოველ დროს და განსაკუთრებით თანამედროვე გლობალიზაცი-

ის პირობებში მუდამ უნდა ახსოვდეს ზვიად გამსახურდიას ეს სიტყვები:

 „ადამიანის კულტურა განუწყველად არის დაკავშირებული მის ეროვნულობასთან. იგი მშობლიური კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას...“

 „ეროვნება არა აქვს ცხოველს...“

 „ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა, ეკლიანი გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა...“

„ჭეშმარიტი მსოფლიო მოქალაქეობა ეროვნული თვითშეგნების გარეშე არ არსებობს. ის ვინც „განგლისელდება“, „გაფრანგდება“, „გა-

რუსდება“, „გამერიკელდება“, ვერასოდეს გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი ან ამერიკელი და ქართველობასაც დაკარგავს. და თუ ქართველებად დავრჩებით და თანაც ვეზიარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოვებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით ნამდვილი მსოფლიო მოქალაქენი. ევროპული ინტეგრაციაც ასე უნდა გავიგოთ და არა როგორც ეროვნული ინდივიდუალობების ნაშლა ან გათქვეფა.“

 „ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე, ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი და მიგვიძოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი“.



გამოსხარა ღივიაგუკი კონკურსი „ქუჯი 2025“

ლიტერატურული კონკურს-ფესტივალი „ქუჯი“, რომელიც 2019 წელს დაარსდა მარტვილში, უკვე 6 წელია ფრიად მნიშვნელოვან ლიტერატურულ საქმეს აკეთებს და ქართული პოეზიის პრობლემატიკას ეწევა მთელი საქართველოს მასშტაბით.

ღივიაგუკი
კონკურსი მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ქართველს (ბარდა წინა წლების პირველი პრემიის ლაურეატებსაც, იმ ნომინაციებში, რომლებშიც გაიმარჯვებენ);

კონკურსის მიზანია ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა, ლიტერატურის პრობლემატიკის განხილვა. მკითხველთა, მსმენელთა, მკითხველთა ფართო ფენებში ინტერესის გაღვივება, სოციალური თემების გააქტიურება, ახალგაზრდა თაობის პატრიოტული და ჰუმანური აღზრდის შემდგომი სრულყოფა.

კონკურსი მოიცავს ოთხ ნომინაციას:
 ა. ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი (ბოლორითმთავანი, თავისუფალი, თეთრი და ა. შ.). გამოვლინდება 3 (სამი) გამარჯვებული.
 ბ. წლის საუკეთესო დებიუტი (ლექსების კრებული, პროზაული კრებული - რომანი, მოთხრობა, ნოველა).
 გ. წლის საუკეთესო პოეტური კრებული;
 დ. წლის საუკეთესო პროზაული კრებული (რომანი, მოთხრობა, ნოველა);

„ქუჯი“ უნდა დაჩქაროს სამართლიანობისა და ნიჭიერების დაფასების სიბოლო!



ლიტერატურული კონკურსი „ქუჯი“ ახალი იმედებითა და ძალგულგონებით შემოიჭრა ლიტერატურულ სივრცეში და იმთავითვე დაიკავა ღირსეული ნიშა.

რამოდენიმე გზის გახლდით, სხვადასხვა ჟანრობრივი მიმართულებით, „ქუჯის“ მიერ გამოცხადებული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, რამაც უდიდეს პასუხიმგებლობასთან ერთად, განსაკუთრებული სიხარული მომანიჭა.

„ქუჯის“ ნარმატება და მისი პრინციპები ნამდვილად უმნიშვნელოვანესია ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის, სადაც ფასდება ნიჭი, შრომა და არა კავშირები ან გავლენები. ეს გახლავთ გზა თვითნაბადი ტალანტების აღმოჩენისა და ლიტერატურული პროცესების განვითარებისა. უმთავრესი, რატომაც შეიძლება ამ კონკურსმა თავი მოიწონოს, სხვა ყველაფერთან ერთად, გახლავთ მისი აბსოლუ-

ტური გამჭვირვალობა და სამართლიანობა, რომელიც გაძლევს თავისუფალი და რეალური შეფასების საშუალებას და ქმნის ნდობას, როგორც მონაწილეებში, ასევე ლიტერატურულ საზოგადოებაში.

„ქუჯის“ - მის ძვირფასს და ღირსეულ დამფუძნებლებთან ერთად, ვუსურვებ უწყვეტ ზრდას, შთამაგონებელ ავტორებს და ქართული ლიტერატურის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას! იგი უნდა დარჩეს სამართლიანობისა და ნიჭიერების დაფასების სიბოლოდ. მოიხილოს ახალი თაობის შემოქმედები და ხელი შეუწყოს ღირებული ნიმუშების დამკვიდრებას ჩვენს და არა მხოლოდ, ლიტერატურაში.

ძვირფასო „ქუჯელებო“, გისურვებთ საერთაშორისო მასშტაბით აღიარებას, რათა „ქუჯი“ გახდეს პლატფორმა - ქართული ლიტერატურის უფრო დიდი მასშტაბებით მსოფლიო არენაზე გატანისა, ამისათვის კი აუცილებელია დიდხანს გაგრძელდეს ეს ლიტერატურული დღესასწაულები და მოიხილოს რაც შეიძლება მეტი ავტორი და მისი აღმატებულება მკითხველი!

ლავა გვასალი
პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი

კონკურსის მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ქართველს (ბარდა წინა წლების პირველი პრემიის ლაურეატებსაც, იმ ნომინაციებში, რომლებშიც გაიმარჯვებენ);

კონკურსის მიზანია ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა, ლიტერატურის პრობლემატიკის განხილვა. მკითხველთა, მსმენელთა, მკითხველთა ფართო ფენებში ინტერესის გაღვივება, სოციალური თემების გააქტიურება, ახალგაზრდა თაობის პატრიოტული და ჰუმანური აღზრდის შემდგომი სრულყოფა.

კონკურსი მოიცავს ოთხ ნომინაციას:
 ა. ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი (ბოლორითმთავანი, თავისუფალი, თეთრი და ა. შ.). გამოვლინდება 3 (სამი) გამარჯვებული.
 ბ. წლის საუკეთესო დებიუტი (ლექსების კრებული, პროზაული კრებული - რომანი, მოთხრობა, ნოველა).
 გ. წლის საუკეთესო პოეტური კრებული;
 დ. წლის საუკეთესო პროზაული კრებული (რომანი, მოთხრობა, ნოველა);

კონკურსის მონაწილეობა ერთი ლექსი, პოეტური და პროზაული კრებულები უნდა წარმოადგინონ კონკურსის გამომცხადებლის დღიდან - 2025 წლის 1 მარტიდან 2025 წლის 1 მაისამდე. ავტორს უფლება აქვს მხოლოდ ერთ ნომინაციაში მონაწილეობა მიიღოს მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიხსნება კონკურსიდან.

თითოეულ კონკურსანტს შეუძლია გამოგზავნოს ნომინაციებში:
 ა. „ერთი ლექსის კონკურსი“ - და ა უ ბ ე ქ დ ა ვ ი (ნიგნში, ჟურნალში, გაზეთში, ელ. ჟურნალში, ლიტ. საიტზე, სოც. ქსელში) ნ ე ბ ი ს მ ი ე რ თემაზე დაწერილი ერთი ლექსი;
 ბ. „დებიუტი“ - საკონკურსოდ მიიღება 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 მაისამდე სადებიუტო პოეტური ან პროზაული კრებული მინიმუმ 2 (ორი) ეგზემპლარად;
 გ. „პოეტური კრებული“, რომელიც გამოიცა 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 მაისამდე მინიმუმ 2 (ორი) ეგზემპლარად;
 დ. „პროზაული კრებული“ (რომანი, მოთხრობა, ნოველა), რომელიც გამოიცა 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 მაისამდე მინიმუმ 2 (ორი) ეგზემპლარად.

მონაწილეობის მსურველებმა 2025 წლის 1 მაისის დღის ბოლომდე, ელ. ფოსტაზე - litkuj2019@gmail.com - უნდა გამოგზავნონ საკონკურსო ლექსის ელ. ვერსია (ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი), ლექსების და პროზაული კრებულის მინიმუმ 2 (ორი) ეგზემპლარი, მოკლე ბიოგრაფია, მისამართი და ტელეფონის ნომერი. საკონტაქტო პირი, ტელ.: 555 12 89 72 ბესო გვაზავა.

ფულადი პრემიები გაიცემა 6 გამარჯვებულზე:
 ერთი ლექსი:
 პირველი პრემია - 1000 ლარი;
 მეორე პრემია - 700 ლარი;
 მესამე პრემია - 500 ლარი;
 დებიუტი:
 პრემია - 2000 ლარი.
 პოეტური კრებული:
 პრემია - 2000 ლარი.
 პროზაული კრებული:
 პრემია - 2000 ლარი.

წინა წლების პირველი ადგილის მფლობელებს უფლება არ აქვთ იმავე ნომინაციაში წარმოადგინონ განაცხადი. ფინალისტებს კი (II-III ადგილი) ეძლევათ შესაძლებლობა სურვილისამებრ კვლავ მიიღონ მონაწილეობა კონკურსში.

ნამუშევრების ნარდგენა შეუძლიათ თავად ავტორებს, შემოქმედებით კავშირებს, გამომცემლებს და სხვა ორგანიზაციებს.

2025 წელს ფესტივალი „ქუჯი 2025“-ის ფარგლებში, კონკურსგარეშე, ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის გიორგი ჭყონდიდელის სახელობის დიპლომი, „ოსკარ შინდლერის აკადემიის“ მიერ „ქუჯისთვის“ სპეციალურად დამზადებული პრიზი - პანოები და 1000 ლარიანი პრემია, საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით გადაეცემა ღვანდუშვილ მწერლებს.

დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ქ. თბილისში, ივნისში.

საორგანიზაციო ჯგუფი: ილია ერქვანია, ნანა კვაშთალია, ბესიკ გვაზავა, დელი ჯორბენაძე;
 საკონკურსო მასალები წარმოადგინეთ შემდეგ მისამართზე:
 ქ. თბილისი, წიგნის მაღაზია „საქნიგნი“;
 მის.: თამარ მეფის გამზირი 14, მე-3 სართული;
 ტელ.: 599 19 33 19 ლია მეტრეველი.
 ქ. ქუთაისი, „ქუთაისის ახალგაზრდობის პარკი“;
 მის.: თაბუკაშვილის 2;
 ტელ.: 577 15 85 45 გიზო თავაძე.
 ქ. ბათუმი, „ბათუმის სამხატვრო სკოლა“;
 მის.: ფიროსმანის 16;
 ტელ.: 593 35 81 99 გურამ ფუტყაძე.
 ქ. ზუგდიდი, სასტუმრო „იბერია პალასი“;
 მის.: კიკალიშვილის 6;
 ტელ.: 555 73 77 88 ნანა კვაშილაძე.
 ქ. მარტვილი, „საჩუქრების მაღაზია“;
 მის.: თავისუფლების 15;
 ტელ.: 555 12 89 72 ბესო გვაზავა.
 „ქუჯის“ ადმინისტრაცია.

ეს ბოლოდ „ქუჯი“ ბააკითა!

რა შემძლია გითხრათ, თუ არა, პირველ რიგში - მადლობა (მარდივ).

ემიგრანტის ამპლუიდან ყველა ახალი მოვლენის მიმართ იმაზე მეტად მგრძობიარე ვარ, ვიდრე ადრე ვიყავი, თუ ეს ჩვენს სამშობლოს, ენებს და პოეზიას ეხება. მიჭირს უემოციოდ ჩავუარო და ჩემი სიტყვა არ ვთქვა, იქ სადაც კეთილი საქმე კეთდება.

გულწრფელი ვიქნები და ვიტყვი, ცოტა დავაგვიანე კიდევ... „ქუჯი“ მაშინ აღმოვაჩინე, როცა „ერთი მეგრულენოვანი ლექსის“ კონკურსი იბადებოდა. ვხედავდი, რომ მზად იყვნენ ყველაფრისთვის, იმ კრიტიკისთვისაც, რაც შეიძლებოდა მათკენ წამოსულიყო!

მადლობა ლიტერატურული ფესტივალი „ქუჯი“-ს დამფუძნებლებს, რომ მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, არ ილღობან და მეტის კეთების სურვილი ამოძრავებთ. ვიცი, რომ მალე „ერთი სვანურენოვანი ლექსის“ კონკურსიც იგეგმება, რაც მახარებს და ველოდები ლაზურსაც... დღეს, ამ დაძაბულ და სიძულვილით სავსე სოციალურ რეალობაში, რომელიც გვინევს ცხოვრება და, როცა ყველაფერი გადასარჩენია: იდენტობა, ქვეყანა, ენები, ლიტერატურა, ის რაც აქამომდე შევირჩინეთ და რითაც თავს ვინწინებდით, ამ დროს დიდ იმედია ასეთი ხალხის არსებობა, რომელთაც სხვა მოტივი არ ამოძრავებთ, გარდა ერთისა - ქვეყნის მრავალფეროვნების წარმოჩენისა, ღვანდუშვილი ადამიანების დაფასებისა და ახალბედების ნახალისებისა.

შეიძლება ამ ფესტივალმა ყველას მოთხოვნილებები ერთნაირად ვერ დააკმაყოფილოს, მაგრამ არსებული რესურსით, იმაზე მეტს აკეთებენ, რაც შესაძლებელია. დასაფასებელია ეს შრომა და ყურადღება.

ამ ბოლო დროს, ვანცდები სხვადასხვა მოსაზრებას ამ საკითხთან მიმართებით. ჰოდა, თავს უფლებას მივცემ ჩემი აზრიც დავაფიქსირო და ვთქვა, „ქუჯის“ სახელის არჩევაც ალბათ, ეს იყო სულიერი და ფიზიკური მოთხოვნილება წარსულის ღირსებასთან კავშირისთვის. არ ვიცი ზღაპარი იყო თუ რა იყო, ვიდაცებს ან მეც, შეიძლება სხვანაირად გვერჩინა, მაგრამ თუ ადრე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს არ ჰქონდა საერთო ეროვნულობის განცდა, ახლა უმრავლესობას ხომ მაინც გვაქვს ასეთი განცდა.

„ქუჯელები“ შეყვარებულები არიან საკუთარ ოდაბადებზე, ქვეყანაზე, ამ კულტურით და ტრადიციებით მდიდარ მიწაზე, მათ ისტორიასა და ლეგენდებზე, საიდანაც ისეთი ჩანს ჩვენი ერთობა, როგორც უნდა ყოფილიყო რეალობაში. თუ რა გამოგვივიდა კი ეტყობა ჩვენს არშემდგარ სახელმწიფოს და სახალის მიმდებლობით შემინებულ ხალხს.

„ქუჯი“ ეს არის საერთო ქართველური მრავალფეროვნების სიყვარულისა და დაფასებისთვის შექმნილი მშვენიერი პროექტი. ამ ხალხს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი საერთო, საოცარი კულტურის შენარჩუნებაში, სადაც ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონი და ენები ერთნაირად დაფასებულია. სწორედ ეს მანერინებს ამ წეროლს, სწორედ ეს აძლიერებს ჩვენს ერთობას და მიგვიყვანს გამარჯვებამდე.

ეს ახალი ისტორია, ასე იქმნება მშვენიერი კრებული კოლხურ - იბერიულ ენებზე, რომელიც წარმოადგენს ჩვენი პოპულარული და მრავალფეროვანი კულტურის კიდევ ერთ, სამწუხაროდ, დავინწყებულ გვერდს, რომელიც ჭიპლარია - ჩვენს წარსულთან და დღევანდელობასთან, ყოფნა - არყოფნასთან, რომლის მოკვეთა არ შეიძლება! ვაშინერს!

ჩემი სიმართლე წურავის ენაზე, არის ბევრი „ლიტერატურული კონკურსი“, მაგრამ მათ არ მოეჭიკრებიათ კოლხურ ენებზე და მოეფერებოდნენ.

„ქუჯი“ კი მთელი საქართველო ერთ ლექსად გააერთიანა, ყველა რეგიონის პოეზია წარმოაჩინა, ფესტივალთან დაგვაბრუნა გვითხრა, როგორ შევიწინარწინოთ ჩვენი ისტორიული იდენტობა ამ უწყვეტ ევოლუციაში, ისე რომ ერთმანეთის სიყვარული გავამრავლოთ და ერთი დღე მაინც ვიყოთ ის ერი, რომელიც ლექსებში, პოემებსა და ლეგენდებში ალაფროთოვანებდა ყველას.

მეგრულში ასეთი გამოცანა გვაქვს, მიყვარს ამის გახსენება: „ჭიჭი ვორდინ პუზა ვორდი, მიბრდინი - გიფთინი“, ანუ... „მატარა როცა ვიყავი, კუზიანი ვიყავი, როცა გავიზარდე - გავსწორდი“-ო.

ეს ერთგვარი „ემურიე მუორე“, დიდ გონებაშეხვედრებს მოითხოვს ამის ამოხსნა და ამიტომაც, მკითხველს მივანდობ გასაზრებლად... თუმცა არჩევანი ჩვენზეა... ბევრი რომ არ გავაგრძელო - „ქუჯელებო“, გისურვებთ თქვენი ფესტივალი პატარა ევროპიდან, დიდ ევროპულ ქალაქებშიც ჩატარდებინოთ და გაფანტული ქართველობა იქაც გაგერთიანებინოთ!

გისურვებთ საერთაშორისო აღიარებას!

თომარ ასალია
ჟურნალისტი, იურისტი.
მეგრულენოვანი ტელევიზია „აკა ტე“-ის დამფუძნებელი



